საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-707

19/05/2021

ქ. თბილისი

„ბაღდათის მუნიციპალიტეტში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „კაკასხიდი-ზეკარის კმ10-კმ17 მონაკვეთის რეკონსტრუქციის და ექსპლუატაციის“ პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 9 აგვისტოს N 2-655 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

„ბაღდათის მუნიციპალიტეტში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „კაკასხიდი-ზეკარის კმ10-კმ17 მონაკვეთის რეკონსტრუქციის და ექსპლუატაციის“ პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 9 აგვისტოს N 2-655 ბრძანებით გაიცა სკოპინგის დასკვნა №24 (23.07.2018).

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი სკოპინგის დასკვნის დამტკიცებიდან 2 წლის ვადაში ვერ მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას ამ კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ბაღდათის მუნიციპალიტეტში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „კაკასხიდი-ზეკარის კმ10-კმ17 მონაკვეთის რეკონსტრუქციის და ექსპლუატაციის“ პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 9 აგვისტოს N 2-655 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ბაღდათის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი